


## თაზი III

### სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 9 080 000.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 4 354 890.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 48.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 3 953 345.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.8%-ია.

საქართველოს 2013-2014 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების  
6 თვის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 7 539 613.4 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 3 665 807.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 48.6%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 3 373 249.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.0%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 734 125.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 293 616.2 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 40.0%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 230 763.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 78.6%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა


„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 208 180.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 104 734.5 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 50.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 68 041.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 65.0%-ია.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 598 081.3 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 290 731.9 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 48.6%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 281 291.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.8%-ია.

### 2014 წლის 6 თვის ასიგნებების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სახელმწიფო პენსიით უზრუნველყოფილი იქნა იანვარში 687.0 ათასამდე პირი, თებერვალში - 686.4 ათასზე მეტი, მარტში - 686.4 ათასზე მეტი პირი, აპრილში - 689.5 ათასზე მეტი პირი, მაისში - 690.0 ათასზე მეტი პირი და ივნისში - 691.6 ათასზე მეტი პირი, ხოლო სახელმწიფო კომპენსაცია გაიცა იანვარში 18.1 ათასზე მეტ პირზე, თებერვალში - 19.6 ათასზე მეტ პირზე, მარტში - 19.8 ათასზე მეტ პირზე, აპრილში - 19.9 ათასზე მეტ პირზე, მაისში - 20.0 ათასზე მეტ პირზე და ივნისში - 20.2 ათასზე მეტ პირზე. სულ საანგარიშო პერიოდში საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამული კოდიდან გადარიცხულ იქნა 663.0 მლნ ლარი.

- სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ლატაკი და უმწეო

მდგომარეობაში მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შეასრულებს და დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება. სულ სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიმართული იქნა 304.2 მლნ ლარი. ამასთან, 2014 წლის 1 მარტიდან ერთ დევნილზე, ლტოლვილსა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირზე გასაცემი ყოველთვიური შემწეობა გაიზარდა და განისაზღვრა 45 ლარით.

- ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სამიზნე ჯგუფების, მათ შორის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და რუსთაველის პრემიის ლაურეატების, დევნილი მოსახლეობის, მზრუნველობამოკლებული ბავშვების, საჯარო სკოლების და ზოგიერთი საგანმანათლებლო დაწესებულების პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის, სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების, ასევე 0-5 წლის (ჩათვლით) ასაკის ბავშვების, საპენსიო ასაკის მოსახლეობის, სტუდენტების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამედიცინო დაზღვევით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოქალაქეებისათვის სამედიცინო დაზღვევის ფინანსური ხელმისაწვდომობის მიზნით, საანგარიშო პერიოდში მიიმართა 55.0 მლნ ლარი;

- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში რომელის მიზანია ჯანმრთელობის დაზღვევის არმქონე საქართველოს მოსახლეობისათვის ფინანსური უზრუნველყოფის შექმნა სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობაზე, საანგარიშო პერიოდში მიმდინარეობდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება გადაუდებელ სტაციონარულ და ამბულატორიულ მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. პროგრამამ მოიცვა ასევე გეგმიურ ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებები (გეგმიური ქირურგული ოპერაციები მ.შ. კარდიოქირურგიული და ონკოლოგიური ოპერაციები, ონკოლოგიურ პაციენტთა მკურნალობა, მშობიარობა, ლაბორატორიული და ინსტრუმენტული გამოკვლევები და ა.შ.). სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 117.5 მლნ ლარი.

- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- საანგარიშო პერიოდში რეაბილიტაციისა და პროთეზირების კურსზე აშშ-ში გაიგზავნა 9 სამხედრო მოსამსახურე, რომლებმაც სამშვიდობო მისიებში და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მიღებული ტრავმის შედეგად დაკარგეს სხვადასხვა კიდური. ამისათვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხიდან მიიმართა 1 631.0 ათასი ლარი;

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემის პროცესი, რომლის ფარგლებში გადამოწმდა 50 ობიექტი, აღწერილ იქნა 1 700-მდე ოჯახი. დევნილთათვის საცხოვრებელი ფართების გადაცემაზე მომზადდა 2 112 ოჯახზე. საკუთრებაში ბინები გადაეცა 830 ოჯახს;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით, განხორციელდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გამოუყენებელი, დაუმთავრებელი შენობების რეაბილიტაცია და 410 დევნილი ოჯახი გადაყვანილ იქნა თბილისში, რუსთავეში, ქუთაისში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ბათუმში, ზუგდიდში, ვანში, თერჯოლაში, წყალტუბოში, ზესტაფონში, ხაშურსა და ქარელში. რეაბილიტირებულ შენობებში განხორციელდა ელექტროენერჯის, გარე საკანალიზაციო და წყლის სისტემების მიერთება და მოწყობა. ამასთან, ქ. თბილისის მერიასთან თანადაფინანსებით სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 28 ობიექტს;

- დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, ქ. თბილისისა და რეგიონებში შეძენილ იქნა 3 ბინა და 2 საცხოვრებელი სახლი.

- იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროგრამაზე (დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია (ევროკავშირი), იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი

სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში (KFW) და ინფრასტრუქტურისა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესება და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (USAID)) მიმართულ იქნა 18.4 მლნ ლარი;

- სოციალური დახმარების სახით, ერთჯერადი ფინანსური დახმარება გაეწია 857 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან და უკიდურესად გაჭირვებულ 188 ოჯახს - საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად ოჯახზე 200-დან 250 ლარამდე).

- „ასწავლე და ისწავლე საქართველოსთან ერთად“ პროგრამაში ჩართულია 67 ინგლისური ენის და 15 ჩინური ენის მოხალისე მასწავლებელი, მ.შ. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ახალი ნაკადის 20 მოხალისე მასწავლებლის საქართველოში ჩამოსვლა;

- მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში და პროფესიულ კოლეჯებში სულ დასაქმებულია 1 052 მანდატური, რომლებიც გადანაწილებული იყვნენ 400-ზე მეტ დაწესებულებაში. ამ მიზნით სულ მიიმართა 4.9 მლნ ლარი;

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უზრუნველყო 901 საჯარო სკოლის 47 ათასზე მეტი მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და მანძილი სოფლებს შორის შესამჩნევია. ამ მიზნით სულ მიიმართა 6.6 მლნ ლარი;

- საანგარიშო პერიოდისათვის „გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსების პროგრამის“ ფარგლებში სწავლების დაფინანსება მიიღო გორის, კასპის, ქარელის, ხაშურის, დუშეთის, ონისა და საჩხერის მუნიციპალიტეტებში მცხოვრებმა სტუდენტებმა;

- საანგარიშო პერიოდში განხორციელდა საჯარო სკოლებისა და პროფესიული კოლეჯების შეკეთებისათვის საჭირო აზომვითი სამუშაოები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, საჯარო სკოლის გაზიფიცირება და გათბობის სისტემის რეაბილიტაცია.

- „სპორტსმენთა სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები გაეცა 430 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე. „ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დამხმარების“ პროგრამის ფარგლებში მატერიალური და სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად 308 ვეტერანმა სპორტსმენმა და სპორტის მუშაკმა მიიღო დახმარება. „ოლიმპიური ჩემპიონების სტიპენდიების“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდიები დანიშნული აქვს 31 სახელოვან სპორტსმენს, თითოეულს 1 000 ლარის ოდენობით;

- სპორტულ სახეობათა მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 54 ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი და 59 სასწავლო - საწვრთნო შეკრება სპორტის 45 სახეობაში. ქართველმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 62 საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში და მოიპოვეს 268 მედალი (84 ოქროს, 78 ვერცხლის და 106 ბრინჯაოს);

- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგისა და დუშეთის მუნიციპალიტეტების მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ჯალმიანი, ზაქანი, ხადი და კაიშაური) მცხოვრები მოსახლეობის მიერ 2013 წლის დეკემბერში და 2014 წლის იანვარ-მაისში მოხმარებული 6.5 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 2.6 მლნ. ლარის ოდენობით;

- სარწყავი და დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის და წყალსაცავების მშენებლობის, საწარმოო ტექნიკური ბაზების მოწყობის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა-მექანიზმების, მოწყობილობების, დანადგარებისა და სატრანსპორტო საშუალებების შეძენის, წვეთოვანი, დაწვიმებითი და მორწყვის სხვა თანამედროვე სისტემების გამოყენებით სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობის მიზნით შპს „საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანიის“ ანგარიშზე მიიმართა 17.0 მლნ ლარი;

- სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის, მეწარმეთა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველსაყოფად, ქვეპროგრამით „შელავათიანი აგროკრედიტები“ გათვალისწინებული ასიგნებებიდან ააიპ - სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე მიიმართა 58.8 მლნ ლარი;

- მცირემიწიან ფერმერთა 2014 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის დასაფინანსებლად, ერთწლიანი კულტურების წარმოების აგროტექნიკური ღონისძიებების ჩატარების, ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურების საწარმოო საშუალებების მიწოდების მიზნით 50.0 მლნ ლარი მიიმართა ააიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ანგარიშზე;

- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე გზების მოვლა-შენახვაზე ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯული იქნა 217.9 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ გზების პერიოდული შეკეთებაზე და რეაბილიტაციაზე - 43.2 მლნ ლარი.
- ✓ გზების მიმდინარე შეკეთებაზე და შენახვაზე ზამთრის პერიოდში - 20.2 მლნ ლარი.
- ✓ ჩქაროსნული მაგისტრალების მშენებლობაზე - 115.9 მლნ ლარი.

- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 38.2 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 14.2 მლნ ლარი;
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 3.0 მლნ ლარი.
- ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II ნაწილი (იმერეთი) პროექტზე - 5.8 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციაზე მიმართული იქნა 23.4 მლნ ლარი, მათ შორის:

- ✓ წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 9.6 მლნ ლარი.
- ✓ ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 12.4 მლნ ლარი.

- ქვეყანაში მიწისზედა მაუწყებლობიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებული ღონისძიების განხორციელების მიზნით შეიქმნა და ფუნქციონირება დაიწყო სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტომ, ხოლო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინოვაციების განვითარების მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიების ცენტრალიზებულად წარმართვის მიზნით - სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ;

- ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტური ჩატარდა მშვიდ, ღია და გამჭვირვალე გარემოში. არჩევნებზე მიიმართა 14.1 მლნ ლარი;

- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 14 საარჩევნო სუბიექტი. საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსებისთვის მიიმართა 5.4 მლნ ლარამდე;

- დიპლომატიური ურთიერთობები დამყარდა სამ სახელმწიფოსთან, საქართველოს საელჩოების მიერ განხორციელდა ექვსი ქვეყნის დიპლომატიური გადაფარვა, ერთ ქვეყანაში ფუნქციონირება დაიწყო საქართველოს დიპლომატიურმა წარმომადგენლობამ. საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და გაეროს სამშვიდობო მისიაში.

- ხელი მოეწერა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმების ცვლილებების ოქმს ერთ სახელმწიფოსთან, საბაჟო საკითხებში ადმინისტრაციული ურთიერთდახმარების შესახებ შეთანხმებებს ორ ქვეყანასთან, საგადასახადო საკითხებში ინფორმაციის გაცვლის შესახებ შეთანხმებას ერთ სახელმწიფოსთან და საბაჟო კონტროლის ფორმების ურთიერთალიარების შესახებ ოქმს ერთ ქვეყანასთან, შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება ერთ ქვეყანასთან რატიფიცირებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ;

- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული 480 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 440 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 6 პროცენტი

სარგებლის გადახდით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის წლიური 7.3 პროცენტი სარგებლის გადახდით. ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2014 წლის 15 მარტს განხორციელდა 2009 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით და 2014 წლის 15 ივნისს განხორციელდა 2010 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 11 000.0 ათასი ლარის ოდენობით.


- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 427 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 365.0 ათასი ლარი.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 648 760.2 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა - 618 342.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.3%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 18.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 15.6%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 447 458.6 ათასი ლარის ოდენობით. საკასო შესრულებამ კი შეადგინა 385 233.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.1%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 11.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 9.7%-ს შეადგენს.

2013-2014 წლების 6 თვის საქონელი და მომსახურების მუხლის ფაქტიური შესრულება



„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 51 593.8 ათასი ლარი;
- მივლინებები - 31 293.9 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 76 357.6 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 7 279.4 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 31 694.5 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 11 053.9 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 8 460.1 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 58 122.3 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შეძენის ხარჯები - 2 801.2 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 106 577.1 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 119 344.7 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 96.9%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.5%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 69 113.6 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 50 108.8 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 126 292.3 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 108 923.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.2%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 3.2%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სახელოვნებო განათლების, ხელოვნების განვითარების ღონისძიებების და მუზეუმების ხელშეწყობისთვის - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 25 851.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 95.2%-ს შეადგენს;
- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებები - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 21 797.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 96.1%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესი საგანმანათლებლო/კვლევითი დაწესებულებების ხელშეწყობისა და სამეცნიერო კვლევების პროგრამები - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 7 648.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.7%-ს შეადგენს;
- ✓ სასულიერო განათლების ხელშეწყობის გრანტი - აღნიშნული მიზნით მიიმართა 6 619.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.5%-ს შეადგენს;
- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 14 594.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 90.6%-ს შეადგენს;
- ✓ სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაცია - ჯამურად მიიმართა 6 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 60.0%-ს შეადგენს;

- ✓ ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება - საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 2 616.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 478 851.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (514 465.7 ათასი ლარი) 93.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 14.2%-ს შეადგენს.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 1 225 945.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (1 236 657.6 ათასი ლარი) 99.1%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი „ხარჯების“ 36.3%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 662 926.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური დახმარებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 304 246.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 116 248.4 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და სამედიცინო მომსახურების პროგრამები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 70 052.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.3%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაზღვევა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 54 975.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვებზე ზრუნვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 6 608.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 79.2%-ს შეადგენს;

„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 568 986.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 436 608.4 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 76.7%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების - 11.0%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:


- ✓ იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა (მ.შ დევნილთა სახლების მშენებლობა/რეაბილიტაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 20 861.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 52.2%-ს შეადგენს;
- ✓ პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 9 805.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 77.4%-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 27 372.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 34.0%-ს შეადგენს;



- ✓ წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაცია - აღნიშნული მიზნით მიიმართა 9 594.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 29.3%-ს შეადგენს;
- ✓ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 168 705.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 98.7%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის და ხარისხის გაუმჯობესება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 2 274.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 59.2%-ს შეადგენს;
- ✓ მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 9 242.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 87.3%-ს შეადგენს;
- ✓ სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები, დოქტორანტურის პროგრამები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 20 998.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 56.8%-ს შეადგენს;
- ✓ ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს - მეორე პროექტი (ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია) - აღნიშნული მიზნით მიიმართა 3 097.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 21.1%-ს შეადგენს;
- ✓ შეღავათიანი აგროკრედიტები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 58 800.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებები - აღნიშნული მიზნით მიიმართა 50 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100%-ს შეადგენს.


2014 წლის 6 თვის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)



**სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში**

2013-2014 წლების 6 თვის ფაქტიური შესრულება  
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708-დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულება შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დაფინანსებამ შეადგინა 806 644.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (888 669.4 ათასი ლარი) 90.8%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 22.4%-ს შეადგენს. მათ შორის:

- ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 162 981.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (188 099.8 ათასი ლარი) 86.6%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 11 087.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 861.4 ათასი ლარი) 80.0%-ია;
- ✓ ფუნდამენტალური სამეცნიერო კვლევების დაფინანსების მოცულობამ შეადგინა 12 219.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 194.3 ათასი ლარი) 92.6%-ია;

- ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 119 222.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (123 005.0 ათასი ლარი) 96.9%-ია;
- ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის დაფინანსებამ შეადგინა 470 983.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (502 534.6 ათასი ლარი) 93.7%;
- ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 30 150.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (47 974.3 ათასი ლარი) 62.8%-ია.

- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 304 364.5 ათასი ლარის გამოყოფა. საკასო შესრულებამ შეადგინა 298 827.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო მთლიანი ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 8.3%. მათ შორის:

- ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 281 809.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (284 531.2 ათასი ლარი) 99.0%;
- ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 305.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (800.0 ათასი ლარი) 38.2%.
- ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 16 498.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 533.3 ათასი ლარი) 89.0%-ს შეადგენს.
- ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 214.1 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (500.0 ათასი ლარი) 42.8%-ია.

- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 440 315.1 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 419 724.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 95.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.6%. მათ შორის:

- ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 310 139.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (320 703.0 ათასი ლარი) 96.7%;
- ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 45 472.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (48 746.7 ათასი ლარი) 93.3%-ს შეადგენს;
- ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 51 050.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (55 369.5 ათასი ლარი) 92.2%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 13 061.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 495.9 ათასი ლარი) 84.3%-ს შეადგენს.

- ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 503 226.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 419 583.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.6%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 8 367.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12 967.1 ათასი ლარი) 64.5%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 130 686.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (147 413.3 ათასი ლარი) 88.7%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 28 539.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 776.5 ათასი ლარი) 223.4%-ს შეადგენს;

- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართული იყო 444.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (646.2 ათასი ლარი) 68.8%;
  - ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 223 212.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (261 342.0 ათასი ლარი) 85.4%;
  - ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 19 235.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (53 760.7 ათასი ლარი) 35.8%;
  - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 970.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 810.4 ათასი ლარი) 20.2%-ს შეადგენს;
  - ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 127.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (9 510.2 ათასი ლარი) 85.5%-ს შეადგენს.
- გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 19 865.5 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 13 738.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 69.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.4%. მათ შორის:
    - ✓ ნარჩენების შეგროვების, გადამამუშავებისა და განადგურების გეგმამ შეადგინა 150.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული არ იყო;
    - ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 6 372.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 773.7 ათასი ლარი) 54.1%-ს შეადგენს;
    - ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 7 366.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 941.8 ათასი ლარი) 92.8%-ს შეადგენს.
- საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 38 877.1 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 12 173.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 31.3%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.3%. მათ შორის:
    - ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 2 307.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 753.1 ათასი ლარი) 40.1%-ს შეადგენს;
    - ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 9 594.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 603.0 ათასი ლარი) 30.4%-ს შეადგენს.
    - ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 271.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 521.0 ათასი ლარი) 17.9%-ს შეადგენს.
- ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 278 624.6 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 262 293.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.1%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.3%. მათ შორის:
    - ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 10 383.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12 675.1 ათასი ლარი) 81.9%;
    - ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 131 942.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (134 871.5 ათასი ლარი) 97.8%-ს შეადგენს;
    - ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 33 378.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (35 228.8 ათასი ლარი) 94.7%;
    - ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 21 321.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (22 393.6 ათასი ლარი) 95.2%-ს შეადგენს;

✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 65 268.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (73 455.7 ათასი ლარი) 88.9%-ს შეადგენს.

• დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 91 201.9 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 79 864.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 87.6%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.2%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 24 959.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (27 129.5 ათასი ლარი) 92.0%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 34 086.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (41 165.6 ათასი ლარი) 82.8 %-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 17 770.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (19 162.4 ათასი ლარი) 92.7%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 391.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (399.2 ათასი ლარი) 98.0%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 2 656.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 345.2 ათასი ლარი) 79.4%-ს შეადგენს.

• განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 339 544.5 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 270 655.9 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 79.7%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 7.5%. მათ შორის:


- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 190 775.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (218 344.1 ათასი ლარი) 87.4%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 4 742.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (6 742.9 ათასი ლარი) 70.3%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 27 380.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (43 157.6 ათასი ლარი) 63.4%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 500.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული არ იყო;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 9 122.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 580.7 ათასი ლარი) 86.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 38 634.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (60 219.2 ათასი ლარი) 64.2%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 1 054 734.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 1 020 506.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 96.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 28.3%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 887.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 918.0 ათასი ლარი) 46.3%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 663 087.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (663 164.4 ათასი ლარი) 100.0%-ს შეადგენს;

- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 309 741.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (316 997.1 ათასი ლარი) 97.7%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 4 262.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 759.5 ათასი ლარი) 89.5%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 26 445.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (49 286.4 ათასი ლარი) 53.7%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 16 082.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (18 609.4 ათასი ლარი) 86.4%-ს შეადგენს.

2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ ჭრილში



## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის განკარგულებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 38 624.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 14 894.6 ათასი ლარი.

ლარებში

| დოკუმენტის თარიღი და ნომერი   | თანხის გაცემის მიზანი   | ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა | გამოყოფილი თანხა    | საკასო ხარჯი       | გადახრა            |
|---|---|-----------------------------------|---------------------|--------------------|--------------------|
| <b>საქართველოს მთავრობის კანცელარია</b>   |   | <b>14,498,000.0</b>               | <b>10,998,000.0</b> | <b>3,554,886.8</b> | <b>7,443,113.2</b> |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N21 10.01.14.  | საქართველოს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად  | 3,000,000.0                       | 3,000,000.0         | 1,055,724.2        | 1,944,275.8        |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N643 10.04.14.   | საქართველოს მთავრობის კანცელარიის, ეკონომიკური და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოების შეუფერხებელი ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით   | 7,000,000.0                       | 7,000,000.0         | 2,425,809.9        | 4,574,190.1        |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1115 23.06.14.  | „ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ ხელმოწერიდან გამომდინარე, ქ.თბილისსა და ქ. ბათუმში 2014 წლის 27-28 ივნისს საზეიმო ღონისძიებებისა და მათთან დაკავშირებული სვადასხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით | 998,000.0                         | 998,000.0           | 73,352.8           | 924,647.3          |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N437 13.03.14.   | საქართველოში არსებული რელიგიური გაერთიანებებისათვის საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის დროს მიყენებული ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიებისათვის  | 3,500,000.0                       | 0.0                 | 0.0                | 0.0                |
| <b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>   |   | <b>3,000,000.0</b>                | <b>0.0</b>          | <b>0.0</b>         | <b>0.0</b>         |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N1138 26.06.14.  | 2014 წლის 15 ივნისს ჩატარებული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით  | 3,000,000.0                       | 0.0                 | 0.0                | 0.0                |
| <b>ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი</b> |   | <b>2,643,500.0</b>                | <b>1,005,060.0</b>  | <b>983,509.3</b>   | <b>21,550.7</b>    |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N314 20.02.14.   | ქ. თბილისში მიმდინარე წლის 26-28 მარტს საერთაშორისო კონფერენციის „ეკონომიკური ინტეგრაციის ევროკავშირთან - პერსპექტივები და შესაძლებლობები“ მაღალ დონეზე ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით   | 277,000.0                         | 150,000.0           | 129,207.5          | 20,792.5           |
| საქართველოს მთავრობის განკარგულება N36 13.01.14.  | ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის შეუფერხებელი და თანმიმდევრული განხორციელების მიზნით, სათანადო ღონისძიებების მაღალ დონეზე მომზადებისათვის აუცილებელი მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად  | 2,100,000.0                       | 838,560.0           | 837,806.9          | 753.1              |
| საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანება N79 04.04.14.  | 2014 წლის 7-14 აპრილს ნატოს კვირეულის ჩატარებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსების მიზნით   | 16,500.0                          | 16,500.0            | 16,495.0           | 5.0                |

| დოკუმენტის თარიღი და ნომერი  | თანხის გაცემის მიზანი  | ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა | გამოყოფილი თანხა   | საკასო ხარჯი       | გადახრა          |
|--|--|-----------------------------------|--------------------|--------------------|------------------|
